უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი 14.09.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
მიხეილ ჩხენკელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათელბის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

თეონა ხუფენია - რექტორი;
მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ციური დურული;
ინგა ბოჭოიძე.

სხვა დამსწრე პირები:

მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; ,,შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით;
მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დირექტორი; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:03 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით აფრასიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით აფარიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია, ასევე, მონაწილობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული 2 პირი. თავმჯდომარის გადაწყვეტილებით 14 სექტემბრის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდნენ პროფესიული განათლების ექსპერტი, მაია ჩიხლაძე და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 სექტემბრის N23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

3. ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 2 სექტემბრის N31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

4. ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის N28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წინაშე წარადგინა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის წერილობითი შუამდგომლობები, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 და მე-4 საკითხების საბჭოს მომდევნო სხდომისთვის გადადების თაობაზე. ასევე, წარმოდგენილ იქნა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, დღის წესრიგში ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის N26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვის დამატებასთან დაკავშირებით. ამასთან, წარდგენილ იქნა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის პირველ საკითხად განხილვასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობებს.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №26 და ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 სექტემბრის №23 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

1. ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №26 და ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 სექტემბრის №23 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს № 512 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა ,,პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს N733 ბრძანებაში, რის საფუძველზეც ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამებიდან, ამოღებულ იქნა მოდულები ქართული ენა A2 და ქართული ენა B1. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულო გახდა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

ამასთან, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს №475, 2017 წლის 7 აგვისტოს №480, 2017 წლის 9 აგვისტოს № 489, 2017 წლის 11 აგვისტოს №497, 2017 წლის 14 აგვისტოს № 502, 2017 წლის 16 აგვისტოს №№507, 508, 509, 510, 511, 2017 წლის 24 აგვისტოს №540 ბრძანებებით დამტკიცდა ოპტიმიზირებული ჩარჩო დოკუმენტები და ცვლილებები შევიდა დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტებში. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მოახდინეს უკვე ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ოპტიმიზირებულ და შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტებთან და წარმოადგინეს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ავტორიზაციის საბჭოზე გასატანად და გადაწყვეტილებებში ცვლილებების შესატანად. ნანი დალაქიშვილის განმარტებით, სსიპ - ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ცვლილებები შესაბამისობაში იყო ზემოხსენებული ბრძანებებით განხორციელებულ ცვლილებებთან.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №26 და ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 სექტემბრის №23 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

1. ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	სწავლების ენა	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	115	145	20
2	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	126	156	20
3	ფარმაცევტის თანაშემწე	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	90	120	20
4	ოფისის მენეჯერი	მეოთხე	ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	105	135	20
5	ბეჭდური და ონლაინ	მეოთხე	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების	ქართული	115	145	20

	გამოცემების რეპორტიორი		რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია				
6	ფილამწყობი	მესამე	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	68	83	20

საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	სწავლების ენა
1	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	III	ქართული
2	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30	IV	ქართული
3	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30	V	ქართული
4	მოცეკვავე	მოცეკვავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	III	ქართული
5	მზარეული	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	II	ქართული

2. ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 სექტემბრის №23 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)	მეოთხე	მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 99; სრულო ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 64.	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 129; სრულო ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 94.	ქართული	20

2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციური დურულმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2017 წლის 21 აგვისტოს მიმართა წერილით, რომლითაც დაწესებულებამ მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „პრაქტიკოსი ექთნის", „ფარმაცევტის თანაშემწის", „ოფისის მენეჯერის", „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის" და „მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები)" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 22 აგვისტოს №531 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებები, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი, ამ პროგრამების აქტიური პროფესიული სტუდენტები და მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (როგორც ზუგდიდის, ასევე სენაკის სასწავლო კორპუსებში) გააჩნდა მოთხოვნილი კონტინგენტისათვის საკმარისი ფართი (A, B და C გარემო), მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსი.

ციური დურულის განცხადებით დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სტუდენტთა ადგილების განსაზღვრის მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი პროექტის სახით.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაფიქსირდა წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, გარდა მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, საბჭოს მიერ მინიჭებული პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება.

ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის N26 გადაწყვეტილებით. საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, დაწესებულების მიერ გაგებულ იქნა, როგორც ერთ ჯერზე მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობა. აღნიშნული მიზეზით მოხდა მათ მიერ კვოტის გადაჭარბება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დადგნდა რომ დაწესებულება

აკმაყოფილებდა გადაჭარბებული კვოტის ფარგლებშიც ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, დაწესებულების მიერ პროგრამებზე კვოტის გადაჭარბება მოხდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. კახაბერ ერაძის განცხადებით, ცენტრის შუამდგომლობა იყო საბჭოს წინაშე, გაეთვალისწინებინათ აღნიშნული გარემოებები.

მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული ფაქტის დაფიქსირების შემდეგ ცენტრის პროფესიული განათლების სამსახურმა გამოითხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან და ცენტრის რეესტრის სამსახურისგან ინფორმაცია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობის თაობაზე. მიმდინარეობდა ინფორმაციის დამუშავება და მსგავსი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში ცენტრი მიიღებდა შესაბამის ზომებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების დროისთვის საბჭოს გადაწყვეტილებებში არ მიეთითებოდა პროგრამის განხორციელების ადგილი და შესაბამისი კვოტა. დაწესებულების მიერ არასწორად იქნა განმარტებული საბჭოს გადაწყვეტილება და სენაკის და ზუგდიდის ბაზებზე, ცალ-ცალკე მიიღეს მინიჭებული სტუდენტთა რაოდენობები. თუმცა აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად დაწესებულება ორივე ფართზე აკმაყოფიელბდა ავტრიზაციის სამივე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულების სურვილი იყო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა პროგრამების მიხედვით შემდეგი სახით გადანაწილებულიყო: პრაქტიკოსი ექთანი - 80 ადგილი (40 - ქ. ზუგდიდი; 40 - ქ. სენაკი); ფარმაცევტის თანაშემწე - 80 ადგილი (40 - ქ. ზუგდიდი; 40 - ქ. სენაკი); ოფისის მენეჯერი - 80 ადგილი (40 - ქ. ზუგდიდი; 40 - ქ. სენაკი); ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - 80 ადგილი (40 - ქ. ზუგდიდი; 40 - ქ. სენაკი); მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები) - 30 ადგილი (10 - ქ. ზუგდიდი; 20 - ქ. სენაკი).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით, მათ შორის 40 ადგილი - ქ. ზუგდიდში, 40 ადგილი - ქ. სენაკში განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ფარმაცევტის თანაშემწის მე-4 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით, მათ შორის 40 ადგილი - ქ. ზუგდიდში, 40 ადგილი - ქ. სენაკში განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ოფისის მენეჯერის მე-4 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით, მათ შორის 40 ადგილი - ქ. ზუგდიდში, 40 ადგილი - ქ. სენაკში განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მე-5 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით, მათ შორის 40 ადგილი - ქ. ზუგდიდში, 40 ადგილი - ქ. სენაკში განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები) მე-4 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით, მათ შორის 10 ადგილი - ქ. ზუგდიდში, 20 ადგილი - ქ. სენაკში განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს შემდეგი სახით:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	126	156	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
						40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192
2	ფარმაცევტის თანაშემწე	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90	120	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
						40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192
3	ოფისის მენეჯერი	მეოთხე	ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	105	135	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
						40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192
4	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	115	145	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
						40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192
5	მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)	მეოთხე	მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 99; სრულო ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 64.	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 129; სრულო ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული	10	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
						20	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192

					სტუდენტებისა თვის - 94.		

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 15:50 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
თუთა ნარმანია